



MES 9 21 0000076099



08/02/2021

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 02/02/2020

სხდომის დაწყების დრო 13:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო 13:20 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ოკრიბელაშვილი

საბჭოს მდივანი - დავით ჭეიშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №186 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

დავით ჭეიშვილი - სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს მდივანი;

მანანა სამხარაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

თამარა თორია - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

თეა სიფრაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი;

თამარ ვეფხვაძე - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

ნინო კეკელიძე - შპს "აღმოაჩინე საქართველოს" დირექტორი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომაზე დამსწრე პირი/პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

№	სახელი, გვარი	პოზიცია
1	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁷ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების განხილვა.

1. პირველი საკითხი - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3.	კვალიფიკაციის დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი, 0511
4.	კვალიფიკაციის დონე	მერვე
5.	სწავლების ენა	ინგლისური
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
7.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	19/10/2020

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითა ცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საჩივარს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა აღნიშნა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად ან უარი განაცხადოს განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები დეტალურად არის განმარტებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ დამტკიცებულ ბრძანებაში „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ (მუხლი 28³). იმ შემთხვევაში თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი სააპელაციო საბჭოს მიერ მიიღება განსახილველად. სთხოვა ცენტრის თანამშრომელს, წარმოედგინა შესაბამისი ინფორმაცია საჩივართან დაკავშირებით ცენტრში შემოსული მასალების მიხედვით.

ცენტრის თანამშრომელმა ქეთევან ინანაშვილმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი ეხება „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც 2020 წლის 22 სექტემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის №970307 (9

ოქტომბერი) გადაწყვეტილებით უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, ცენტრის №1149892, 02/12/2012 წერილით ჩაბარდა 3 დეკემბერს. შესაბამისად, დაწესებულების მიერ დაცულია სააპელაციო საბჭოში გასაჩივრების 1 თვიანი ვადა.

ცენტრმა განიხილა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ 31 დეკემბერს გამოგზავნილი სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1245363). განხილვის პირველ ეტაპზე დადგინდა ხარვეზი სააპელაციო განაცხადში (№18782, 21/01/2021). დაწესებულებამ საპასუხოდ, ცენტრში წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია (№42405, 29/01/2021). ცენტრმა ასევე შეამოწმა ინფორმაცია და დააზუსტა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ პროგრამის შესახებ სასამართლო წარმოებაში არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა საბჭოს სახელით განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი. დაადგინეს, რომ საჩივარი შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 8;

წინააღმდეგი - 0.

გადაწყვეტილება:

მიღებული იქნეს ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი.

2. მეორე საკითხი - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლება
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3.	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მეცნიერებების დოქტორი, 0111
4.	კვალიფიკაციის დონე	მერვე
5.	სწავლების ენა	ინგლისური
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
7.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	19/10/2020

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საჩივარს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა განაცხადა, როგორც წინა საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად ან უარი განაცხადოს განხილვაზე. ხოლო საჩივრის მიღების წინაპირობები დეტალურად არის განმარტებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ დამტკიცებულ ბრძანებაში „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ (მუხლი 28³). იმ შემთხვევაში თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი სააპელაციო საბჭოს მიერ მიიღება განსახილველად. სთხოვა ცენტრის თანამშრომელს, წარმოედგინა შესაბამისი ინფორმაცია საჩივართან დაკავშირებით ცენტრში შემოსული მასალების მიხედვით.

ცენტრის თანამშრომელმა ქეთევან ინანაშვილმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი ეხება „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც 2020 წლის 22 სექტემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის №998928 (9 ოქტომბერი) გადაწყვეტილებით უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, ცენტრის №1149892, 02/12/2012 წერილით ჩაბარდა 3 დეკემბერს. შესაბამისად, დაწესებულების მიერ დაცულია სააპელაციო საბჭოში გასაჩივრების 1 თვიანი ვადა.

ცენტრმა განიხილა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მიერ გამოგზავნილი სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1245363). განხილვის პირველ ეტაპზე ცენტრის მიერ დადგინდა ხარვეზი სააპელაციო განაცხადში (№18782, 21/01/2021). დაწესებულებამ საპასუხოდ, ცენტრში წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია (№42405, 29/01/2021). ცენტრმა ასევე შეამოწმა ინფორმაცია და დააზუსტა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ პროგრამის შესახებ სასამართლო წარმოებაში არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა საბჭოს სახელით განაცხადა, სააპელაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი. დაადგინეს, რომ საჩივარი შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 8;

წინააღმდეგი - 0.

გადაწყვეტილება:

მიღებული იქნეს ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი.

13:20 საათზე სააპელაციო საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრი

სააპელაციო საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე

ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრი / სააპელაციო საბჭო

მდივანი

ჭეიშვილი დავით

